ურთიერთანამშრომლობის მემორანდუმი საქართველო, სსიპ - პროფესიულ კოლეჯსა "სპექტრი" და სსიპ ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტს შორის

სსიპ - პროფესიული კოლეჯი "სპექტრი" (შემდგომში "კოლეჯი"), მისამართი: ქ. თბილისი, ბ. ჭიჭინაძის ქ. №10, მისი დირექტორი როინ ტაკიძე და სსიპ ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტი (შემდგომში "უნივერსიტეტი"), მისამართი, ქ. ბათუმი, ლ. ასათიანის №37 მისი რექტორის ერმილე მესხიას სახით, შემდგომში მხარეებად წოდებულნი,

ხელმძღვანელობენ რა საქართველოს კანონმდებლობის, კოლეჯისა და უნივერსიტეტის დებულებების, წინამდებარე მემორანდუმის შესაბამისად, ორმხრივი ურთიერთობებისა და საერთო ინტერესების გათვალისწინებით მხარეებმა მიიღეს გადაწყვეტილება ხელი მოაწერონ აღნიშნულ ურთიერთანამშრომლობის მემორანდუმს:

მუხლი 1. მიზანი და საგანი

საგანმანათლებლო სასწავლებლების თანამშრომლობა, პროფესიული განათლების განვითარება/გაზიარება და ამ სისტემის მოქნილობის უზრუნველყოფა.

მუხლი 2. მხარეების უფლებები და მოვალეობები

2.1. მხარეები თავიანთი კომპეტენციის ფარგლებში, ხელს უწყობენ ისეთი ზომების მიღებას, რომლებიც უზრუნველყოფენ კოლეჯისა და უნივერსიტეტის პარალელურ მუშაობას მაღალი ინტერესების შესაბამისად.

2.2. მხარეები ახდენენ სასწავლო გამოცდილების ორმხრივ გაზიარებას საგანმანათლებლო დაწესებულებებს შორის და შესაბამისი სასწავლო სტანდარტების გაცნობას, სასწავლო მეთოდების განახლებას, ვორქშოფების, გამოფენების მოწყობას.

2.3. ერთობლივი გადამზადება/თრეინინგების მოწყობა, შესაბამისი დარგის ექსპერტების მოწვევა კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით და სიახლეების გაცვლა/დანერგვა სასწავლებლებს შორის.

2.4. მხარეები ერთობლივად შეიმუშავებენ და განახორციელებენ ისეთ პროექტებს, რაც ხელს შეუწყობს ორივე ორგანიზაციის განვითარებას.

2.5. მხარეები ჩაატარებენ ერთობლივ ტრეინინგ-კონფერენციებს პროფესიული განათლების განვითარებისათვის საჭირო მიმართულებებში.

2.6. სასწავლებლების საგამოფენო სივრცის, საკომფერენციო დარბაზ(ებ)ისა თუ სხვა შესაბამისი მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გამოყენება სხვადასხვა ღონისძიებების მოწყობის მიზნით.

2.7. მხარეები ვალდებულნი არიან შეასრულოს წინამდებარე მემორანდუმით ნაკისრი ვალდებულებები პირადად, ჯეროვნად და ხარისხიანად.

მუხლი 3. სარეკლამო და საინფორმაციო ხასიათის ღონისძიებები

3.1 მხარეები უფლებამოსილნი არიან დაგაგემონ და განახორციელონ წინამდებარე მემორანდუმით გათვალისწინებული მომსახურების შესახებ სარეკლამო და საინფორმაციო ღონისძიებები.

3.2 მხარეები ერთმანეთს ანიჭებენ სრულ უფლებამოსილებას წინამდებარე მემორანდუმის რეალიზაციასთან დაკავშირებით გამოიყენონ ერთმანეთის საფირმო სახელწოდება, სავაჭრო და სასაქონლო ნიშნები სარეკლამო და საინფორმაციო მასალებსა და ღონისძიებებში.

3.3 მხარეები არ გააკეთებენ ან გაავრცელებენ არანაირ საჯარო განცხადებას ამ მემორანდუმის შინაარსის და მასთან დაკავშირებით მხარეებს შორის არსებული ურთიერთობის შესახებ მეორე მხარის წინასწარი თანხმობის გარეშე. ამასთან ორივე მხარე იღებს ვალდებულებას რომ არ განაცხადოს ასეთ თანხმობაზე უსაფუძვლო უარი ან არ გააჭიანუროს ასეთი თანხმობის გაცემა არაგონივრული ვადით. თითოეული მხარე იღებს ვალდებულებას შეატყობინოს მეორეს ასეთი განცხადების გავრცელების სურვილის შესახებ და მიაწოდოს შესაბამისი განცხადების ტექსტი არანაკლებ 1 (ერთი) კვირით ადრე. იმ შემთხვევაში, თუ რაიმე სახის საჯარო განცხადების გაკეთება გათვალისწინებულია შესაბამისი კანონით, მხარე დაუყოვნებლივ გააფრთხილებს მეორეს ამის თაობაზე და მისცემს სათანადო შესაძლებლობას, რათა გაეცნოს განცხადების შინაარსს და წარმოადგინოს წინადადებები შესწორებების შეტანის თაობაზე.

მუხლი 4. ინტელექტუალური საკუთრება

წინამდებარე მემორანდუმის ფარგლებში თანამშრომლობის შედეგად შექმნილი ინტელექტუალური პროდუქტი ეკუთვნის ერთობლივად ორივე კოლეჯს და მისი ნებისმიერი სახით გამოყენება ხდება მათ შორის შეთანხმების გზით.

მუხლი 5. ინფორმირება

მემორანდუმის პირველ მუხლში გათვალისწინებული ვალდებულებებისა და მოვალეობების შესრულების შესახებ მხარეები ერთმანეთს ინფორმაციას აწვდიან წერილობით.

მუხლი 6. ფორს-მაჟორი

6.1. მხარეთა პასუხისმგებლობას გამორიცხავს ფორს-მაჟორული გარემოებებით გამოწვეული ვალდებულებათა შეუსრულებლობა ან/და არაჯეროვანი შესრულება. ფორს-მაჟორულ გარემოებებად ითვლება ომი, სტიქიური უბედურება, ხანძარი, მასობრივი არეულობა და სხვა.

6.2. თუ ფორს-მაჟორულ გარემოებებს აქვთ დროებითი ხასიათი, მათზე მითითება დაიშვება მხოლოდ იმ პერიოდში, როცა ისინი გავლენას ახდენდნენ მხარეთა ვალდებულებების

შესრულებაზე. თითოეული მხარე ვალდებულია ფორს-მაჟორული გარემოებების შესახებ დაუყოვნებლივ აცნობოს მეორე მხარეს.

6.3. ფორს-მაჟორული გარემოებების 30 (ოცდაათი) კალენდარულ დღეზე მეტი დროით გაგრძელების შემთხვევაში დამკვეთს უფლება აქვს ცალმხრივად შეწყვიტოს წინამდებარე ხელშეკრულება.

მუხლი 7. მოქმედების ვადა

წინამდებარე მემორანდუმი ძალაში შედის ორივე მხარის ხელმოწერის შემდგომ და ძალაში რჩება, სანამ ერთი მხარე ორი თვით ადრე წერილობით არ შეატყობინებს მეორე მხარეს მისი შეწყვეტის შესახებ.

მუხლი 8. ცვლილებების შეტანა

8.1.მემორანდუმის დამდებ არც ერთ მხარეს არ აქვს უფლება ცალმხრივად შეცვალოს მემორანდუმის პირობები.
8.2. მემორანდუმში ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს წერილობით, დანართის სახით, რომელიც წარმოადგენს მემორანდუმის განუყოფელს ნაწილს.
8.3. მემორანდუმის რომელიმე პუნქტის ბათილად ცნობა არ იწვევს მთელი მემორანდუმის ბათილად ცნობას.

მუხლი 9. დავების გადაწყვეტა
9.1. მხარეთა შორის წარმოქმნილი დავა გადაწყდება ურთიერთშეთანხმების გზით.

მუხლი 10. დასკვნითი დებულება
10.1. მემორანდუმი გაფორმებულია ორ ეგზემპლარად ქართულ ენაზე. ერთი ეგზემპლარი ინახება კოლეჯში, მეორე ეგზემპლარი - უნივერსიტეტში. ორივე ეგზემპლარს თანაბარი იურიდიული ძალა აქვს.

მემორანდუმი ხელმოწერილია _____

_____ _____

კოლეჯის სპექტრის დირექტორი

როინ ტაკიძე

უნივერსიტეტის რექტორი

ერმილე მესხია